საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

რევაზ ასათიანი

საქართველოს აგროინდუსტრიული ტრანსფორმაცია 2027-2036

საპროგრამო ვერსია

თბილისი 2026

შინაარსი

1. ტერმინოლოგია
2. რეზიუმე
3. პროგრამის მეთოდოლოგია, მიზანი და ამოცანები
4. პროგრამის მომზადების წინაპირობები და კონტექსტი
   - სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი
   - გლობალური კონტექსტი
   - სპეციფიკური გამოწვევები
   - სტრატეგიული საჭიროება
5. სექტორის არსებული მდგომარეობის ანალიზი
   - ღირებულებათა ჯაჭვის სტრუქტურა
   - მცენარეული წარმოება
   - ცხოველური წარმოება
   - მიწის რესურსები
   - ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია
   - სექტორული დიაგნოზი
6. საქართველოს გლობალური პოზიციონირება
7. აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის პრიორიტეტები
   - პრიორიტეტები
   - ტრანსფორმაციის პროცესი
8. აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტარი
   - ტრანსფორმაციის საერთაშორისო მოდელები, გაკვეთილები საქართველოსთვის
   - სივრცითი დაგეგმარება
   - მიწის კონსოლიდაცია
   - თვითმმართველობა
   - სურსათის უვნებლობა
   - საინვესტიციო პრინციპები
   - საინვესტიციო სცენარები
   - საინვესტიციო ჩარჩო
   - პროგრამის მართვის მექანიზმი

მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები
მონიტორინგის მექანიზმი
რისკების მართვა
9. სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციური არქიტექტურა
პასუხისმგებლობები
ფაზები
ძირითადი პროგრამები
10. ტექნიკური ჩარჩო
რეგიონული სპეციალიზაცია
ინოვაციური ტექნოლოგიური
11. პროგნოზული ინდექსები (2036)
მემცენარეობის განვითარების პროგნოზული ინდექსები
მეცხოველეობის განვითარების პროგნოზული ინდექსები
ზოგიერთი სასურსათო პროდუქტით უზრუნველყოფის მაჩვენებელი
დანართი 1. სხვა პროგნოზული ინდექსები (2036)
ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გაადგილება რეგიონების მიხედვით
პირუტყვის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქციის გაადგილება რეგიონების მიხედვით
მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოებლად საჭირო მარცვლეული
მარცვლეულის მოხმარების ბალანსი
დანართი 2. ტრანსფორმაცია: ინსტიტუციური თანამონაწილეობა და ზოგიერთი ქვესექტორის სიმულაციური მოდელი
ტრანსფორმაციის ინსტიტუციური თანამონაწილეობის 10 წლიანი გეგმა-გრაფიკი
ზოგიერთი ქვესექტორის ტრანსფორმაციის სიმულაციური მოდელი
დანართი 3. დეტალური პროგრამული პორტფელი
დანართი 4. რეგიონები

1. ტერმინოლოგია

აგრარული რეფორმა – ქვეყანაში ჩამოყალიბებული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემების გარდაქმნა.

აგრობიზნესი – საქმიანობის სფერო, რომელიც მიწის, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი კომბინაციით უზრუნველყოფს საწარმოო და ეკონომიკური პროცესების მომსახურებას.

აგროინდუსტრიული ტრანსფორმაცია – სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის თანამედროვე, ეფექტიან და კონკურენტუნარიან სისტემად გარდაქმნა.

აგროსასურსათო პოლიტიკა – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის ღონისძიებათა ერთობლიობა.

აგროსასურსათო სექტორი – ეკონომიკის სფერო, რომელიც აერთიანებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, შენახვასა და რეალიზაციას.

ავტარკია - ეკონომიკური თვითკმარობა

ექსტენცია – აგრარული განათლების, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ფერმერული მეურნეობის გაძღოლის შესახებ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება.

მეტა-რისკი - უფრო მაღალ დონეზე მდგომი საფრთხე, რომელიც გავლენას ახდენს სხვა, უფრო კონკრეტულ რისკებზე, ან მთელ სისტემაზე

მიწების კონსოლიდაცია – ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება უფრო დიდ და ეფექტურად სამართავ ერთეულებად.

როიალტი - ჰონორარი, ან გადასახადი, რომელსაც ერთი პირი, ან კომპანია უხდის მეორეს მისი საკუთრების გამოყენების სანაცვლოდ;

სასურსათო უსაფრთხოება – ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი საკვებ პროდუქტებთან ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა.

სივრცითი დაგეგმარება – საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური პოლიტიკის გეოგრაფიული ასახვა.

ფასების ვოლატილობა - ფასების ძლიერ და სწრაფად ცვლილება გარკვეული დროის განმავლობაში

ღირებულებათა ჯაჭვი - პროდუქტის გზის სრული სისტემა წარმოებიდან მომხმარებლამდე.

ცივი ჯაჭვი - ტემპერატურისადმი მგრძნობიარე პროდუქციის კონტროლირებული ლოგისტიკა.

KPI - ამოცანების შესრულების ძირითადი ინდიკატორი.

KPI dashboard - ვიზუალური პანელი, სადაც ერთ ადგილზეა თავმოყრილი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, გრაფიკები, ინდიკატორები

Measurable outcome - შედეგი, რომლის შეფასებაც შესაძლებელია კონკრეტული მაჩვენებლით, ციფრით, ან ინდიკატორით

IoT-კონცეფცია, სადაც ფიზიკური მოწყობილობები ინტერნეტთანაა დაკავშირებული, ერთმანეთს „ესაუბრებიან“, ცვლიან მონაცემებს და მათ საფუძველზე მოქმედებენ

PPP (სკპ) - საჯარო-კერძო პარტნიორობა (სკპ) ინვესტიციისა და სერვისების განვითარებისთვის

2. რეზიუმე

საქართველოს აგროსასურსათო სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის, რეგიონული განვითარების და სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. მიუხედავად ბუნებრივი პოტენციალისა, დღევანდელი მოდელი კვლავ ძირითადად ფრაგმენტირებული, დაბალპროდუქტიული და ტექნოლოგიურად არასაკმარისად განახლებულია. ეს მდგომარეობა ზღუდავს ადგილობრივი წარმოების ზრდას, ასუსტებს ექსპორტის დივერსიფიკაციას და ზრდის იმპორტზე დამოკიდებულებას.

2027-2036 წლების აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის საპროგრამო დოკუმენტის მთავარი ამოცანაა ტრადიციული, მცირე და დაბალეფექტიანი სოფლის მეურნეობის ეტაპობრივი გარდაქმნა თანამედროვე აგროინდუსტრიულ სისტემად. ასეთი სისტემა უნდა აერთიანებდეს პირველადი წარმოების მოდერნიზაციას, გადამუშავებას, ლოგისტიკას, ციფრულ პლატფორმებს, ხარისხის სტანდარტებს, ბრენდირებას და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომას.

ტრანსფორმაცია განიხილება არა როგორც მხოლოდ აგრარული რეფორმა, არამედ როგორც ეკონომიკური განვითარების ეროვნული პროგრამა. მისი წარმატება განსაზღვრავს ქვეყნის შესაძლებლობას შეამციროს სასურსათო მოწყვლადობა, გაზარდოს დამატებული ღირებულება რეგიონებში, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და განავითაროს კონკურენტული საექსპორტო მიმართულებები.

პროგრამა ოთხ ძირითად კითხვას პასუხობს:

რა გვსურს?	აგროსასურსათო სექტორის ინდუსტრიული ტრანსფორმაცია
რატომ?	მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებისა და ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად
როგორ?	მაღალ ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ახალ/ინტეგრირებულ ცოდნაზე დაფუძნებული პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებითა და განხორციელებით
რა პერიოდში?	2027-2036 წლებში

3. პროგრამის მეთოდოლოგია, მიზანი და ამოცანები

პროგრამის მეთოდოლოგიაა - ჰოლისტური, ანუ ინტეგრირებული მიდგომა: მიწა, წყალი, ტექნოლოგია, ცოდნა, ფინანსები, ბაზარი და რეგიონული განვითარება ერთ სისტემაში.

პროგრამის მიზანია - აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნა მცირე, დაბალპროდუქტიული აგრარული სექტორიდან მაღალტექნოლოგიურ, ბაზარზე ორიენტირებულ და ექსპორტზე ფოკუსირებულ აგროინდუსტრიულ სისტემად.

პროგრამის ამოცანებია:

1	**პროდუქტიულობის ზრდა:** *თანამედროვე აგროტექნოლოგიების, მექანიზაციის, ციფრული ტექნოლოგიებისა და აგროსისტემების დანერგვა; მაღალხარისხიანი თესლი; სარწყავი სისტემების და ცოდნის გაუმჯობესება.*
2	**მიწის ეფექტიანი გამოყენება** *მიწების კონსოლიდაცია; მიწის რეგისტრაციისა და საკუთრების საკითხების მოწესრიგება.*
3	**ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება** *გადამამუშავებელი მრეწველობის გაძლიერება; შენახვის, ლოგისტიკისა და დისტრიბუციის სისტემების განვითარება; ნედლეულის წარმოებიდან გადამუშავებულ და ბრენდირებულ პროდუქტზე გადასვლა.*
4	**ექსპორტის ზრდა და დივერსიფიკაცია** *სურსათის უვნებლობის და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; ახალი საექსპორტო ბაზრები; ქართული პროდუქციის ბრენდირება.*
5	**მდგრადი რეგიონული განვითარება** *სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, დასაქმება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; ფერმერებისთვის სესხებისა და სუბსიდიების გაუმჯობესება; აგროსადაზღვევო სისტემა; ინვესტიციების მოზიდვა.*
6	**განათლება, ექსტენცია, გაციფროვნება და ინოვაციები** *ფერმერთა გადამზადება; საკონსულტაციო მომსახურეობა; აგრარული განათლების გაძლიერება; მონაცემებზე დაფუძნებული მართვა; ციფრული პლატფორმები, ავტომატიზაცია, კვლევები და განვითარება.*

7	**სასურსათო უსაფრთხოების და კოოპერაციის გაძლიერება** *სტრატეგიული პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ზრდა და კრიზისებზე რეაგირების უნარის გაძლიერება; ფერმერთა კოოპერატივების განვითარება; ქართულ-უცხოური ერთობლივი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.*

საქართველოსთვის რეალური ტრანსფორმაცია აგროინდუსტრიალიზაციაიკენ ნიშნავს:

- მცირე, თვითკმარი მეურნეობიდან კომერციულ და ტექნოლოგიურ წარმოებაზე გადასვლას;
- ნედლეულის ექსპორტიდან მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტებზე გადასვლას;
- სოფლის ეკონომიკიდან აგროინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლას.

მიმართულება	საწყისი მდგომარეობა	2036 წლის მიზანი
პროდუქტიულობა	დაბალი და არათანაბარი	50- 70% ზრდა პრიორიტეტულ დარგებში
ექსპორტი	კონცენტრირებული რამდენიმე პროდუქტზე	დივერსიფიცირებული და 2x-მდე ზრდის პოტენციალი
იმპორტზე დამოკიდებულება	სტრატეგიულ პროდუქტებში	სისტემური შემცირება ადგილობრივი წარმოების ამაღლების გზით
ტექნოლოგიები	შეზღუდული გამოყენება	ციფრული პლატფორმები, სენსორები, ავტომატიზაცია

4. პროგრამის მომზადების წინაპირობები და კონტექსტი

სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი

პროგრამის მომზადებას საფუძვლად უდევს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი საჭიროება და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული მიმართულებები სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ნაწილში. ეს ვალდებულება მოითხოვს სექტორის დაახლოებას ევროპულ პოლიტიკასთან, ხარისხის სტანდარტებთან, სურსათის უვნებლობასთან და მდგრადობის პრინციპებთან.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა აღარ შეიძლება დარჩეს მხოლოდ სუბსიდირების ან სოციალური დახმარების ჩარჩოში. ის უნდა გარდაიქმნას პროდუქტიულობის, ინვესტიციების, რეგიონული განვითარების და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის ინსტრუმენტად.

გლობალური კონტექსტი

ბოლო წლებში გლობალური აგროსასურსათო სისტემა შევიდა მაღალი გაურკვევლობის ფაზაში. მიწოდების ჯაჭვების რღვევა, ენერგორესურსებისა და სასუქების ფასების ზრდა, გეოპოლიტიკური კონფლიქტები და კლიმატის ცვლილება ერთობლივად ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკებს.

პანდემიის შემდგომმა პერიოდმა და რეგიონულმა ომებმა აჩვენა, რომ სურსათის ბაზარი შეიძლება სწრაფად გახდეს შეზღუდული, ძვირი და პოლიტიკურად მგრძნობიარე. მცირე ქვეყნებისთვის, რომლებიც იმპორტზე არიან დამოკიდებული, ეს ქმნის განსაკუთრებულ მოწყვლადობას. ამ ფონზე, სახელმწიფოსთვის კრიტიკულია არა სრული ავტარკია, არამედ გონივრული თვითუზრუნველყოფის, სტრატეგიული მარაგების, ბაზრების დივერსიფიკაციის და ადგილობრივი წარმოების კომბინაცია.

სპეციფიკური გამოწვევები

საქართველო აგრობიომრავალფეროვნების, კლიმატის, წყლის რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით მაღალი პოტენციალის ქვეყანაა. თუმცა, ეს პოტენციალი არასრულად არის რეალიზებული.

ძირითადი პრობლემებია: მიწის ფრაგმენტაცია, მცირე მასშტაბი, მოძველებული ტექნიკა, დაბალი მექანიზაცია, სარწყავი სისტემების არასაკმარისი მოცვა, გადამამუშავებელი საწარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ცოდნისა და კადრების დეფიციტი, სუსტი კოოპერაცია და ბაზრებთან არასაკმარისი კავშირი.

სოფლად დემოგრაფიული მდგომარეობა დამატებით ამძაფრებს გამოწვევებს. ახალგაზრდების მიგრაცია, მოსახლეობის დაბერება და პროფესიული კადრების დეფიციტი ამცირებს სექტორის განახლების შესაძლებლობას.

სტრატეგიული საჭიროება

არსებული მოდელის გაგრძელება ნიშნავს იმპორტზე დამოკიდებულების გაღრმავებას, რეგიონული უთანასწორობის ზრდას და აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის შემცირებას. შესაბამისად, საჭიროა არა ერთი მიმართულების რეფორმა, არამედ სრული აგროინდუსტრიული ტრანსფორმაცია.

5. სექტორის არსებული მდგომარეობის ანალიზი

ღირებულებათა ჯაჭვის სტრუქტურა

აგროსასურსათო სექტორი აერთიანებს პირველადი წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ლოგისტიკის, რეალიზაციისა და ექსპორტის ეტაპებს. დღეს ეს კომპონენტები ერთმანეთთან არასაკმარისად არის დაკავშირებული. ფერმერი ხშირად არ ფლობს ბაზრის ინფორმაციას,

გადამამუშავებელი საწარმოები ვერ იღებენ სტაბილურ და ხარისხიან ნედლეულს, ხოლო ლოგისტიკური სისტემა ზრდის დანაკარგებს.

სისტემის ეფექტიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ მოსავლიანობით, არამედ იმით, რამდენად აღწევს პროდუქტი მომხმარებლამდე მაღალი ხარისხით, შესაბამისი შეფუთვით, სტანდარტით და ფასით.

მცენარეული წარმოება

მცენარეული წარმოება მოიცავს მარცვლეულს, ბოსტნეულს, ხილს, ყურძენს, კაკლოვან კულტურებს და სხვა მიმართულებებს. თითოეულ მათგანს აქვს ზრდის შესაძლებლობა, თუმცა დაბალი მოსავლიანობა, ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება და სარწყავი ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა აფერხებს მასშტაბირებას.

- **მარცვლეული:** არის სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულება და საჭიროებს თესლწარმოების, სარწყავი სისტემების და მექანიზაციის გაძლიერებას.
- **მევენახეობა და ღვინო:** აქვს მაღალი ბრენდული პოტენციალი და საჭიროა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, ხარისხის პოზიციონირება.
- **ხილი და კაკლოვანი კულტურები:** მნიშვნელოვანი საექსპორტო მიმართულებაა და საჭიროა შენახვის, გადამუშავების და ხარისხის კონტროლის განვითარება.

ცხოველური წარმოება

მეცხოველეობა, რძის წარმოება, ხორცი და ფრინველობა კრიტიკულია როგორც სასურსათო უსაფრთხოებისთვის, ისე რეგიონული შემოსავლების ზრდისთვის. ძირითადი გამოწვევებია საკვები ბაზა, გენეტიკა, ვეტერინარული მომსახურება, ფერმების მართვა და გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრაცია.

მიწის რესურსები

მიწის ფრაგმენტაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ბარიერია. მცირე ნაკვეთები ზრდის ხარჯებს, ამცირებს ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობას და ართულებს საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. მიწების კონსოლიდაცია და სრულყოფილი კადასტრი უნდა იქცეს ტრანსფორმაციის საწყის ელემენტად.

ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია

სექტორის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სარწყავ და სადრენაჟო სისტემებზე, აგროტექნიკაზე, საწყობებზე, ცივი ჯაჭვის ინფრასტრუქტურაზე, გზებზე, ენერგიაზე და ციფრულ კავშირზე. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გარეშე სხვა რეფორმების ეფექტი შეზღუდული იქნება.

სექტორის დიაგნოზი

გამოწვევები ხილის, მარცვლეულისა და ბოსტნეულის მოსავლიანობაში* (2024 წ, ტ/ჰა)

ქვეყნები/ რეგიონები	ხილი	მარცვლეული	ბოსტნეული
თურქეთი	18.9	3.4	42.3
მსოფლიო	13.9	4.2	19.8
აზერბაიჯანი	13.2	3.4	31.1
ევროკავშირი	11.7	5.2	33.4
სომხეთი	11.4	2.0	35.6
უკრაინა	11.0	5.1	20.5
რუსეთი	10.0	3.0	29.8
საქართველო	4.8	2.8	11.1

*გალტ&თაგარტი. სოფლის მეურნეობა საქართველოში, მარტი, 2026 (პრეზენტაცია)

დიაგნოზი	გამომწვევი მიზეზები	სტრატეგიული პასუხი
დაბალი პროდუქტიულობა	მექანიზაციის და ცოდნის დეფიციტი/უკიდურესად დაბალი დონე	ტექნოლოგიზაცია, ექსტენცია, ხარისხიანი რესურსები
იმპორტზე დამოკიდებულება	ადგილობრივი წარმოების მცირე მასშტაბი	სტრატეგიული პროდუქტების პროგრამები
სუსტი გადამუშავება	მცირე საწარმოები, ტექნოლოგიური ჩამორჩენა	ინდუსტრიული მოდერნიზაცია და PPP
სოფლის დაცლა	შემოსავლებისა და სერვისების ნაკლებობა	რეგიონული განვითარება და დასაქმება

6. საქართველოს გლობალური პოზიციონირება

მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარი დაყოფილია რამდენიმე ძირითად მოდელად: მასშტაბური მწარმოებლები, მაღალი ხარისხის ევროპული სისტემები და სწრაფად მზარდი იმპორტზე ორიენტირებული ბაზრები. საქართველო ვერ გახდება გლობალური მასობრივი მწარმოებელი, თუმცა შეუძლია გახდეს მაღალი ხარისხის, ნიშური და ბრენდირებული პროდუქციის მიმწოდებელი. 2024 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ძირითად საექსპორტო პროდუქტებს შორისაა: სპირტიანი სასმელები (17%), ღვინო (16%), მინერალური წყლები (10%), გაზიანი სასმელები (8%), კაკლოვანი ხილი — ძირითადად თხილი (6%).

71.5%	28.5%	$1.8 მლრდ აშშ $	+10%
იმპორტი სავაჭრო ბრუნვაში	ექსპორტი სავაჭრო ბრუნვაში	აგროექსპორტი 2025	ზრდა 2024-თან შედარებით

ქვეყნის კონკურენტული პოზიცია უნდა დაეფუძნოს ხარისხს, იდენტობას, ეკოლოგიურობას, კულტურულ ისტორიას და ტექნოლოგიურ განახლებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღვინოს, თხილს, ხილს, ორგანულ პროდუქტებს, მთის პროდუქტებს და აგროტურიზმთან დაკავშირებულ სერვისებს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
აგრობიომრავალფეროვნება, უძველესი ისტორია და კულტურა	მცირერიცხოვანი და დაბალკვალიფიციური შრომითი რესურსები და დაბალი პროდუქტიულობა	EU და აზიის ბაზრები	კლიმატის ცვლილება
გეოგრაფიული მდებარეობა — სატრანსპორტო და ფინანსური ჰაბი	მიწის ფრაგმენტაცია	ორგანული პროდუქცია	ფასების ვოლატილობა
სტუმარ-მასპინძლობა და ტრადიციული სუფრის კულტურა, ღვინის და გასტრონომიის ბრენდი	დაბალი კონკურენტუნარიანი პროდუქცია და ტექნოლოგიური ჩამორჩენა	აგროტურიზმი	გეოპოლიტიკური რისკები
კომფორტული ბიოგეოკლიმატური პირობები, მრავალფეროვანი ლანდშაფტი — ზღვა, მთები, ვაკე	სუსტი კოოპერაცია	ციფრული პლატფორმები	შრომითი რესურსების დეფიციტი

პროგრამის სამიზნე პოზიცია გულისხმობს: მასობრივი იაფი პროდუქციის მოდელიდან მაღალი დამატებული ღირებულების მოდელზე გადასვლას. ეს მოითხოვს ხარისხის სტანდარტებს, სერტიფიცირებას, ლოგისტიკას, მარკეტინგს და პროდუქტის ისტორიის სწორ კომუნიკაციას.

7. აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის პრიორიტეტები

პრიორიტეტები

ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის სამი ძირითადი პრიორიტეტი განისაზღვრა:

I	**სასურსათო უსაფრთხოება და ექსპორტზე ორიენტაცია** *ქვეყნის საკუთარი წარმოების გაძლიერება, იმპორტდამოკიდებულების შემცირება და ექსპორტის გაზრდა.* ✓ ხორბლის, სიმინდის, ქერის, ბოსტნეულის, ხორცის, თევზის წარმოების ზრდა ✓ ღვინის, თხილის, ხილის, მინერალური წყლის ექსპორტი ✓ HACCP, ISO სტანდარტების დანერგვა ✓ უარყოფითი სავაჭრო ბალანსის საგრძნობი შემცირება 2036 წლისთვის
II	**მდგრადი სოფლები, მუნიციპალიტეტები, რეგიონები** *ადამიანზე და ბუნებაზე ორიენტირებული ტერიტორიული სისტემებად გარდაქმნა და განვითარება* ✓ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება ✓ სოფლებიდან მიგრაციის შემცირება ✓ ეკო-ტურიზმი და სოფლის ეკონომიკა ✓ ბალანსი: ეკონომიკა–ეკოლოგია–სოციალური სფერო
III	**გაციფროვნება და ინოვაციური ტექნოლოგიები** *"ზუსტი აგროსასურსათო მეურნეობა" — ციფრული ტექნოლოგიებით სექტორის ეფექტიანობის ამაღლება.* ✓ დრონები, GPS, სენსორული სისტემები ✓ ვერტიკალური ფერმები, სათბური კომპლექსები ✓ ბლოკჩეინ — პროდუქციის მიკვლევადობა ✓ ონლაინ პლატფორმები გასაყიდად

ტრანსფორმაციის პროცესი

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის ტრანსფორმაცია კომპლექსური, მრავალეტაპიანი პროცესია. **ტრანსფორმაცია მიმდინარეობს ასეთ ჯაჭვში: მოდერნიზაცი + პროდუქტიულობა + შენახვა/გადამუშავება + ბაზრები + ინდუსტრიული აგრობიზნესი.**

8. აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტარი

ტრანსფორმაციის საერთაშორისო მოდელები, გაკვეთილები საქართველოსთვის

ქვეყანა და მოდელი	ძირითადი მახასიათებელი	გაკვეთილი საქართველოსთვის +/_
ნიდერლანდები „მაღალ ტექნოლოგიური აგროინდუსტრია“	ინტენსიური წარმოება, ტექნოლოგიები მცირე მიწაზე	(+) ბიზნესი-მეცნიერება-სახელმწიფო; (-) ძალიან ძვირია და საჭიროებს მაღალკვალიფიციურ პერსონალს
ისრაელი „ინოვაციები და წყლის მენეჯმენტი“	სოფლის მეურნეობა უდაბნოში, წვეთოვანი სარწყავი სისტემები	(+) წყლის მართვა; ინოვაცია; მცირე მიწებზე ეფექტიანი წარმოება
ესპანეთი „ექსპორტი, რეგიონული სპეციალიზაცია“	ხილი, ბოსტნეული, ზეთისხილი — ძლიერი ექსპორტი ევროპაში	(+) ლოგისტიკა; კოოპერატივები; ექსპორტზე ორიენტაცია
პოლონეთი მცირე და საშუალო საწარმოები; აგრობიზნესები	სწრაფი ეკონომიკური ზრდა, EU სტანდარტების დანერგვა, სახელმწიფო სუბსიდიები + კერძო ინვესტიცია	+ მსგავსი სასტარტო მდგომარეობა, ეტაპობრივი და ნაბიჯ-ნაჯიბ ინდუსტრიალიზაცია

მთავარი დასკვნა: საქართველო ვერ გახდება ნედლეულის მასობრივი მწარმოებელი, მაგრამ შეიძლება გახდეს მაღალი ღირებულების, მრავალფეროვანი აგროინდუსტრიული ქვეყანა. მისთვის ოპტიმალურია "ჰიბრიდული მოდელი": პოლონეთის — კოოპერატივები, ეტაპობრივი და ნაბიჯ-ნაბიჯ ინდუსტრიალიზაცია; ისრაელის — წყლის მართვა, ინოვაცია; ესპანეთის — ექსპორტი, ლოგისტიკა, რეგიონული სპეციალიზაცია. **საქართველოს არჩევანი:** ნაბიჯ-ნაბიჯ ინდუსტრიალიზაცია + ინოვაციური ტექნოლოგიები + სასურსათო უსაფრთხოება + ექსპორტი.

სივრცითი დაგეგმარება

წარმატებული ტრანსფორმაციისთვის სივრცითი დაგეგმარება განხილულია სტრატეგიულ ინსტრუმენტად:

- განსაზღვრავს კულტურებისთვის ოპტიმალურ ნიადაგ-კლიმატურ ზონებს
- ქმნის აგროინდუსტრიულ კლასტერებს (ნედლეული→გადამუშავება→ლოგისტიკა)
- გეგმავს მიწათსარგებლობის სქემებს, ინფრასტრუქტურულ კავშირებს: სარწყავი, ენერგო, გზები

- ხელს უწყობს ეგრეთ წოდებულ "ხიდს" სოფელსა და ქალაქს შორის
- უზრუნველყოფს გარემოსდაცვით მდგრადობას

მიწების ინვენტარიზაცია და კონსოლიდაცია

მიწების ინვენტარიზაცია და ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება (land consolidation) აგროინდუსტრიული ტრანსფორმაციის ყველაზე კრიტიკული ელემენტია. საქართველოსთვის შემოთავაზებულია "ჰიბრიდული" კონსოლიდაციის მოდელი — სამი მექანიზმის კომბინაცია:

- ნებაყოფლობითი კონსოლიდაცია
- მიწის ბანკი
- იჯარით კონსოლიდაცია

მიწების კონსოლიდაციის პროცესის დასაწყებად საჭიროა კადასტრული მონაცემების სრულყოფა; გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) მონაცემთა ბაზის შექმნა; პილოტური პროექტების გაშვება.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია: მიწების კონსოლიდაცია + გადამამუშავებელი ინდუსტრიის შექმნა + ექსპორტის ბაზრებზე წვდომა — ეს სამი ელემენტი განსაზღვრავს პროგრამის მთელი ტრანსფორმაციული ეფექტის წარმატებას.

თვითმმართველობა

თვითმმართველობა - განიხილება არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ერთეულად, არამედ ხდება ადგილობრივი აგროეკონომიკური განვითარების ოპერატორი, ე.წ. „ადგილობრივი მონაცემთა ჰაბი“. ამასთან, თვითმმართველობა უნდა გახდეს სურსათის უვნებლობის ადგილობრივი განხორციელების პლატფორმა. კერძოდ:

- აწარმოოს ფერმერთა და მეწარმეთა რეგისტრაცია
- მოახდინოს ფერმერთა და მეწარმეთა ტრენინგების ორგანიზება
- დაეხმაროს მათ სტანდარტების დანერგვაში
- შექმნას და უზრუნველყოს კავშირი ადგილობრივ ლაბორატორიებთან
- აკონტროლოს მუნიციპალიტეტში შემავალი ერთეულების საქმიანობა

თვითმმართველობის ფუნქციები	საქმიანობები
აგროინდუსტრიული პროფილის განსაზღვრა	• განსაზღვროს რომელი კულტურებია კონკურენტუნარიანი • აღრიცხოს მუნიციპალიტეტის რესურსები (მიწა, წყალი, კლიმატი, მუშახელი) • განსაზღვროს გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების ლოკაცია და მიმართულება
აგროლოგისტიკური ინფრასტრუქტურა	• აგროჰაბები • სასაწყობო სისტემები • ცივი ჯაჭვი

	• სოფლის გზები • სარწყავი ინფრასტრუქტურა
ფერმერთა კოოპერაციის ხელშეწყობა	• აგროკლასტერების და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა • კოოპერატივების ხელშეწყობა • გარე ფერმერების ჩართვა ღირებულებათა ჯაჭვში
ციფრულ მონაცემებზე დაფუძნებულ მართვა	• GIS და მიწების ციფრული რუკები • წარმოების მონაცემები • რესურსების აღრიცხა • დაავადებების მონიტორინგი • რისკების ადრეული გაფრთხილება

სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობა – უნდა იყოს არა ცალკე კონტროლი, არამედ მთელი აგროინდუსტრიული სისტემის სტანდარტი, რომლის მთავარი პრინციპი იქნება - „ფერმიდან მომხმარებლამდე“ (Farm to Fork) მოდელი.

სფეროები	საქმიანობები
პირველადი წარმოება	• პესტიციდების კონტროლი • ვეტერინარული მონიტორინგი • წყლის ხარისხი, GAP სტანდარტი,
გადამუშავება	• HACCP სისტემები • ISO?FSSC სტანდარტები • ტრასირებადობა • ლაბორატორიული კონტროლი
ლოგისტიკა	• ცივი ჯაჭვი • ტემპერატურული კონტროლი • ტრანსპორტირების სტანდარტები
ექსპორტი	• ბაზარზე დაშვების ინსტრუმენტი • კონკურენტუნარიანობის ფაქტორი • ქართული პროდუქტის ბრენდინგი

მოკლე დასკვნა: ძლიერი სოფელი/მუნიციპალიტეტი/რეგიონი + უვნებელი სურსათი = კონკრენტუნარიან აგროინდუსტრიას

საინვესტიციო პრინციპები

- პრიორიტეტი მიენიჭოს მაღალი ეკონომიკური ეფექტის მქონე პროექტებს.

- ინვესტიცია უნდა ქმნიდეს ე.წ. გაზომვად შედეგს (measurable outcome): მოსავლიანობა, ექსპორტი, დასაქმება, შემოსავალი.
- სუბსიდიები უნდა გადავიდეს შედეგზე ორიენტირებულ მოდელზე.

საინვესტიციო სცენარები

10-წლიანი პროგრამის განსახორციელებლად შემოთავაზებულია ორი საინვესტიციო სცენარი:

"ოპტიმისტური/ტრანსფორმაციული სცენარი"

4.0 მლრდ აშშ$ · 10 წელი

წელიწადში: $400 მლნ აშშ $ (მშპ-ის ~ 1%)
სახელმწიფო 40% + კერძო 45% + დონორი 15%
ინვესტიციების უკუგება: 20+25% / 10 წელი

"კონსერვატიული სცენარი"

2.1 მლრდ აშშ$ · 10 წელი

წელიწადში: $200 მლნ აშშ $ (მშპ-ის 0.5 %)
ფოკუსი — პრიორიტეტულ ქვესექტორებზე (ღვინო, რძე, თხილი, ხილი, მარცვლეული)

სცენარები	მახასიათებელი	შედეგი	პოლიტიკა
კონსერვატიული	დაბალი ინვესტიცია, ნელი რეფორმა	ზომიერი ზრდა, იმპორტის შენარჩუნება	მინიმალური სტაბილიზაცია
ოპტიმისტური/ ტრანსფორმაციული	მაღალი და სტაბილური ინვესტიცია, კოორდინაცია, ტექნოლოგიური ლიდერობა	ექსპორტის 2x პოტენციალი, პროდუქტიულობის ზრდა, რეგიონული აგროინდუსტრიული ჰაბი	სრული პროგრამული შესრულება, ძლიერი PPP და საერთაშორისო პარტნიორობა

პროგრამა ორიენტირებულია ოპტიმისტური სცენარის მიღწევასა და ტრანსფორმაციულ სცენარზე გადასვლის წინაპირობების შექმნაზე. ამისთვის საჭიროა ინსტიტუციური კოორდინაცია, პოლიტიკის სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

საინვესტიციო ჩარჩო

ტრანსფორმაცია მოითხოვს მრავალწყაროიან დაფინანსებას. სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა იყოს კატალიზატორი, კერძო სექტორი - მასშტაბირების მთავარი წყარო, ხოლო საერთაშორისო პარტნიორები - ცოდნის, ტექნოლოგიის და შეღავათიანი დაფინანსების მომწოდებლები.

კომპონენტი	წილი	საორიენტაციო	ძირითადი წყარო
ინფრასტრუქტურა	35-40%	0.7-1.3 მლრდ აშშ $	სახელმწიფო/დონორები

გადამუშავება და ლოგისტიკა	20-25%	0.4-1.0 მლრდ აშშ $	კერძო/PPP
ტექნოლოგიები	15-20%	0.4-0.7 მლრდ აშშ $	კერძო/დონორები
განათლება, კვლევა და განვითარება	10-15%	0.3-0.5 მლრდ აშშ $	სახელმწიფო/დონორები
რეგიონული განვითარება	10-15%	0.3-0.5 მლრდ აშშ $	სახელმწიფო/მუნიციპალიტეტები
სულ		2.1 – 4 მლრდ აშშ $	

პროგრამის მართვის მექანიზმი

პროგრამის განხორციელებისთვის შემოთავაზებულია სამსაფეხურიანი იერარქიული სტრუქტურა:

I საფეხური	ქვეყნის მთავრობა და პარლამენტი	• პროგრამის შემუშავება და დამტკიცება • აგროინდუსტრიალიზაციის ფონდის (აიფ) შექმნა • სგს - ს გარდაქმნა აგროინდუსტრიალიზაციის სააგენტოდ (აის) • ბიუჯეტური და დონორი რესურსების მობილიზება
II საფეხური	აიფ - ს და აის - ს ფუნქციონირება	• აის - ს მუნიციპალური ერთეულები • საკონკურსო პროექტების განხილვა და დაფინანსება • ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოების შექმნა • დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის კოორდინაცია
III საფეხური	აის - ის მუნიციპალური ერთეულები	• ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება ფერმერებში • კარგი პრაქტიკის ტრეინინგი • პროექტების მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი და შეფასების ინდიკატორები

ეს არის პროგრამის მართვის მექანიზმი. ის ქმნის შესაძლებლობას, რომ პრობლემები გამოვლინდეს, პროგრესი გაიზომოს და პოლიტიკა დროულად დაკორექტირდეს.

ინდიკატორები	2027 სასტარტო	2030 შუალედური	2036 წლისთვის მიზანი
აგროექსპორტის	1.0	1.4	2.0+
პროდუქტიულობის	1.0	1.3	1.6-1.7

იმპორტდამოკიდებულების	მაღალი	შემცირების ტენდენცია	მნიშვნელოვნად შემცირებული
ფერმერთა შემოსავლების	1.0	1.4	2.0
ციფრული პლატფორმების გამოყენება	დაბალი	მზარდი	ფართოდ დანერგილი

მონიტორინგის მექანიზმი

- ✓ კვარტალური მონიტორინგი - შესრულების ძირითადი მაჩვენებლები
- ✓ წლიური შეფასება - პროგრამების ეფექტიანობა და ბიუჯეტის კორექტირება
- ✓ სამწლიანი სტრატეგიული გადახედვა - მიზნების და სცენარების განახლება

რისკების მართვა

რისკები	გავლენა	ალბათობა	მართვის ღონისძიება
კლიმატის და მოსავლიანობის ცვალებადობა	მაღალი	მაღალი	სარწყავი სისტემები, წყლის მართვა, კლიმატგამძლე კულტურები, მრავალწლიანი კონტრაქტები, დაზღვევა
ბაზრის ფასების ცვალებადობა, იმპორტის შეფერხება	მაღალი	საშუალო/მაღალი	სტრატეგიული მარაგები, ადგილობრივი წარმოება, ბაზრების/ექსპორტის დივერსიფიკაცია
ინვესტიციების დეფიციტი	მაღალი	საშუალო	PPP, საინვესტიციო სტიმულები, დონორული პორტფელი
კადრების დეფიციტი	საშუალო	მაღალი	პროფესიული განათლება, ექსტენცია, ახალგაზრდების პროგრამები
PPP უარი, ინსტიტუციური ფრაგმენტაცია	მაღალი	საშუალო	მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო თანამონაწილეობის სქემები, საკოორდინაციო ერთეული და KPI dashboard
პროდუქციის ხარისხის გაუარესება	საშუალო	საშუალო	HACCP, ISO, EU სერტიფიცირება
კორუფცია, ბიუროკრატია	მაღალი	საშუალო	გამჭვირვალე KPI მონიტორინგის სისტემა

ყველაზე მნიშვნელოვანი მეტა-რისკია - შესრულების დისციპლინის ნაკლებობა. თუ პროგრამები ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე განხორციელდება, ფინანსური რესურსიც დაიხარჯება, მაგრამ სისტემური შედეგი ვერ მიიღება.

9. სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციური არქიტექტურა

პასუხისმგებლობები

აქტორი	ძირითადი როლი	პასუხისმგებლობა
სახელმწიფო	სტრატეგიული მართვა	პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა, რეგულაცია, სუბსიდიები
კერძო სექტორი	ინვესტიციები	წარმოება, გადამუშავება, შენახვა, ტექნოლოგიები, ექსპორტი
ფერმერები	წარმოება	ხარისხი, კოოპერაცია, თანამედროვე პრაქტიკა
დონორები	მხარდაჭერა	ფინანსები, ტექნიკური დახმარება, ცოდნა

ფაზები

ფაზა	წლები	ფოკუსი	შედეგი
I	2027-2029	**საფუძვლის შექმნა:** მიწა, ინფრასტრუქტურა, რეგულაციები	სისტემის მზადყოფნა
II	2030-2033	**მასშტაბირება:** წარმოება, გადამუშავება, ტექნოლოგიები	პროდუქტიულობის ზრდა
III	2034-2036	**ექსპორტის გაფართოება და ქართული ბრენდი**	საერთაშორისო პოზიციონირება

ძირითადი პროგრამები

- სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და გაფართოება
- მიწების კონსოლიდაცია და კადასტრი
- აგროტექნიკის განახლება
- გადამამუშავებელი საწარმოების მოდერნიზაცია
- ცივი ჯაჭვის და ლოგისტიკური ჰაბების განვითარება
- ფერმერთა განათლება და ექსტენცია
- აგრო-ციფრული პლატფორმა და მონაცემთა სისტემა
- საექსპორტო ბრენდინგი და სერტიფიცირება

10. ტექნიკური ჩარჩო

რეგიონული სპეციალიზაცია

რეგიონი	პრიორიტეტები	აქცენტები
აღმოსავლეთ საქართველო	მარცვლეული, ვენახი, ბოსტნეული, ხილი, კარტოფილი, მეცხოველეობა	სარწყავი სისტემები, თესლი, ტექნოლოგია
დასავლეთ საქართველო	სუბტროპიკი, ციტრუსი, ჩაი, სიმინდი, კაკლოვანი, ბოსტნეული, კარტოფილი. მეცხოველეობა, თევზის წარმოება	შენახვა, დრენაჟი, გადამუშავება, ბრენდინგი
მთიანი რეგიონები	მეცხოველეობა, რძე, კარტოფილი, ეკოლოგიური წარმოება	საკვებწარმოება, ვეტერინარია, აგროტურიზმი

ინოვაციური ტექნოლოგიები

ტექნოლოგია	გამოყენების სავარაუდო სფეროები	მოლოდინები
სენსორები და IoT (მოწყობილობათა ინტერნეტ სისტემები), გეო და ბიოინფორმაციული სისტემები	ნიადაგის, წყლის, კლიმატის ცვლილებების, ღვარცოფების რისკების შეფასებები, მიწათმოქმედებისა და მისაღები მოსავლის პროგნოზირებისთვის, სხვადასხვა რეგიონში არსებული ფერმების შესახებ ინფორმაციებზე წვდომისთვის	წყლის და რესურსების დაზოგვა, ფერმების ოპერატიული მართვა
დრონები, რობოტები, მულტისპექტრული კოსმოსური სურათები	მონიტორინგი, შეწამვლა, რუკების შედგენა, დაზიანებული მონაკვეთების, აერო შესხურების, მორწყვის, მავნებლების გავრცელების და მათთან ბრძოლის არეალების დადგენა	პირველადი წარმოების ხარჯების შემცირება და სიზუსტე
ციფრული პლატფორმები, ბლოკჩეინები	ბაზრის ფასი, ამინდი, წარმოებული პროდუქციის მიკვლევადობა, რეკომენდაციები	ინფორმირებული გადაწყვეტილებები
ავტომატიზაცია	სათბურები ულტრაკლიმატ კონტროლით, მეცხოველეობის ფერმები, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები, საწყობები	პროდუქტიულობის ზრდა

აბოლოო დასკვნა: პროგრამის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს ქვეყანა ფრაგმენტირებული სოფლის მეურნეობის გარდაქმნას ინტეგრირებულ აგროინდუსტრიულ სისტემად. მთავარი პრინციპია: ცოდნა, ტექნოლოგია, ბაზარი და რეგიონული განვითარება ერთიან პოლიტიკაში.

11. პროგნოზული ინდექსები (2036)

პროგრამის სრული განხორციელების შემთხვევაში, 2036 წლისთვის საქართველოს შეუძლია მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

65-75% სასურსათო თვითუზრუნველყოფა	**2.2-2.5 მლრდ $** აგროექსპორტი 2036 წლისთვის	**ათასობით** ახალი სამუშაო ადგილი	**+20-25%** ინვესტიციის უკუგება 10 წელში

მემცენარეობის განვითარების პროგნოზული ინდექსები

კულტურა	2021-24 საშუალო (ათასი ჰა)	2021-24 საშუალო (ათასი ტ)	2036 (ათასი ჰა)	2036 (ათასი ტ)	ფართობების ინდექსი	წარმოების ინდექსი
ხორბალი	54	147	95	440	1.8x	3.0x
სიმინდი	76	197	120	825	1.6x	4.2x
ქერი, შვრია, ჭვავი	29	57	55	280	1.9x	4.9x
სულ ძირითადი მარცვლეული	**156**	**401**	**265**	**1,545**	**1.7x**	**3.9x**
კარტოფილი	16	213	14	600	0.9x	2.8x
მზესუმზირა	2.8	2.2	4	6	1.4x	2.7x
ბოსტნეულ-ბაღჩეული	13	199	13	400	1.0x	2.0x
ლობიო	3.2	3.8	4	9	1.3x	2.4x
ერთი და მრავალწლიანი ბალახები	12.1	53	15	95	1.2x	1.8x
სულ - ძირითადი ერთწლოვანი	**206**		**320**		**1.6x**	
ყურძენი	55	275	65	400	1.2x	1.5x
ციტრუსი	9	61	12	180	1.3x	3x
ხეხილი (სულ)	80	226	118	741	1.5x	3.3x
სულ - მრავალწლოვანი	**157**		**195**		**1.2x**	
სულ - ერთ და მრავალწლოვანი	**363**		**515**		**1.4x**	

მეცხოველეობის განვითარების პროგნოზული ინდექსები

პროდუქცია	2021-2024 საშუალო	2036	ინდექსი
მრპ. (ათასი სული)	858	870	1x
ღორი, (ათასი სულ)	146	180	1.2x
ცხვარი და თხა, (ათასი სული)	843	875	1x
ფრინველი სულ, (მლნ ფრთა)	8.5	15.3	1.8x
ხორცი სულ, (ათასი ტონა)	81	125	1.5x
მ. შ. მრპ ხორცი, (ათასი ტონა)	26	50	1.9x
ღორის ხორცი, (ათასი ტონა)	25	27	1.1x
ცხვრის/თხის ხორცი, (ათასი ტ)	4.8	10	2.1x
ფრინველის ხორცი, (ათასი ტონა)	25	40	1.6x
რძე, (მლნ ლიტრი)	578	1,200	2.1x
კვერცხი, (მლნ ცალი)	659	900	1.4x
თაფლი, (ათასი ტ)	2.0	4.5	2.3x
თევზი და თევზპროდუქტები, (ათასი ტ)	2.5	6.0	2.4x

ზოგიერთი სასურსათო პროდუქტით უზრუნველყოფის მაჩვენებლები

პროდუქტი	საჭიროება*	შეგვიძლია ვაწარმოოთ	%
ხორბალი (ათასი ტ)	522.8	440	84.2%
კარტოფილი (ათასი ტ)	254.2	600	236% (ჭარბი)
ბოსტნეული (ათასი ტ)	598.6	400	66.8%
ხილი (ათასი ტ)	451	741	164% (ჭარბი)
ხორცი სულ (ათასი ტ)	266.5	125	46.9%
რძე (მლნ ლიტრი)	1,646.2	1,200	72.9%
კვერცხი (მლნ ცალი)	1,172.6	900	76.8%

- **საჭიროებები გაანგარიშებულია მოსახლეობის ერთ სულზე საკვები პროდუქტების საშუალო წლიური მოხმარების რაციონალური ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით კილოგრამებში 4.1 მლნ ადამიანზე 2036 წლისთვის**

დანართი 1. სხვა პროგნოზული ინდიკატორები

პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის საორიენტაციო პროგნოზული გაანგარიშებები და პროგნოზული ინდექსები დაეფუძნა ე.წ. ექსპერტთა შეფასების მეთოდსა და ორ დაშვებას, რომ ა. ქვეყანას გაჩნია მიწის რესურსების გამოყენების ექსტენსიური პოტენციალი და ბ. ფერმერთა მხრიდან შესაძლებელი გახდება ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის დაუფლება.

ძირითადი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გაადგილების პროგნოზული ინდექსები რეგიონების მიხედვით 2036 წლისთვის (2021-2024 წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით)

მაჩვენებლები	ხორბალი	სიმინდი	ქერი, შვრია, ჭვავი	კარტოფილი	ბოსტნეული-ბაღჩეული	ლობიო	მზესუმზირა	ბალახები	**სულ ერთწლოვანები**	ხეხილი	ვენახი	ციტრუსი	**სულ მრავალწლოვანები**	**სულ ფართობი**
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კახეთი:														
ათასი ჰა	52	15	20	1	3.5	0.5	4		**96**	23	32.5		**55.5**	**151.5**
ინდექსი	1.4	1	1.3	1	1	1.6	1.8		**1.2**					
ქვემო ქართლი														
ათასი ჰა	16	10	10	3.5	2	0.5		7	**49**	14	6.5		**20.5**	**69.5**
ინდექსი	2.7	1.7	5	1.1	1.2	1.7		1.7	**2**					
შიდა ქართლი														
ათასი ჰა	16	8	10	1.5	3.5	2		2	**43**	31	13.5		**44.5**	**87.5**
ინდექსი	2.6	1.6	5	1	1.2	1.2		1.7	**1.7**					
სამცხე - ჯავახეთი														
ათასი ჰა	5	3	12	7.5	0.5	0.5		6	**34.5**	1			**1**	**35.5**

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ინდექსი	2.3	3	2	0.8	0.6	1.7		1.7	**1.5**					
იმერეთი														
ათასი ჰა	3	30			2	0.5			**35.5**	8	7	0.5	**15.5**	**51**
ინდექსი	2	1.4			1.1	1			**1.5**					
სამეგრელო														
ათასი ჰა		38		0.5	0.5				**39**	29	1	1.5	**31.5**	**70.5**
ინდექსი		1.9			0.6				**1.7**					
გურია														
ათასი ჰა		8							**8**	4	2	4	**10**	**18**
ინდექსი		2.7							**2.2**					
აჭარა														
ათასი ჰა		4		0.5	0.5				**5**	2	0.5	7	**9.5**	**14.5**
ინდექსი		2		1	0.8				**1.7**					
მცხეთა-მთიანეთი														
ათასი ჰა	3	4	3	0.5	0.5				**11**	3.5	1.0		**4.5**	**15.5**
ინდექსი	4	2	3	1	1.1				**3.1**					
რაჭა-ლეჩხუმი														
ათასი ჰა										2.5	1		**3.5**	**3.5**

პირუტყვის სულადობის და მეცხოველეობის პროდუქციის გაადგილების პროგნოზული ინდექსები რეგიონების მიხედვით 2036 წლისთვის (2021-2024 წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით)

მაჩვენებლები	მრქ, ათასი სული	მრქ ხორცი, ათასი ტ	ღორი, ათასი სული	ღორის ხორცი, ათასი ტ	ცხვარი/თხა, ათასი სული	ცხვრის/თხის ხორცი, ათასი ტ	ფრინველი, მლნ ფრთა	ფრინველის ხორცი, ათასი ტ	კვერცხი, მლნ ცალი	რძე, მლნ ლიტრი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
კახეთი:										
აბსოლუტური	85	9	35	6	450	4	2.0	3.1	150	150
ინდექსი	1.1	2	1.2	1.2	1.1	1.9	1.5	1.7	1.2	2.3
ქვემო ქართლი:										
აბსოლუტური	155	6.7	29.5	5.5	220	1.5	6.5	20	510	246
ინდექსი	1.1	2.9	1.2	1.1	1	1.5	1.7	1.5	1.3	2
შიდა ქართლი										
აბსოლუტური	55	7	10	2.5	27	0.5	1.650	8	50	85
ინდექსი	1.1	3	1.3	1	1.1	5	1.9	1.6	1.7	1.9
სამცხე - ჯავახეთი										
აბსოლუტური	110	3	12	1.5	75	1	0.750	0.2	30	160
ინდექსი	1.1	1.9	1.3	1.1	1	1.6	3.8	2	1.5	2.2
იმერეთი										
აბსოლუტური	150	13	30	5	22	1	1.500	3.5	65	235
ინდექსი	1	2.1	1.2	1.1	1.1	2	1.8	2.2	1.3	2
სამეგრელო										

აბსოლუტური	180	5	50	4.5	12	0.5	1.500	2.5	60	180
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**
ინდექსი	1	1.6	1.3	1.1	1.2	2.5	1.7	1.8	1.9	2.2
გურია										
აბსოლუტური	40	1	1.5	0.3	3	0.1	0.3	0.5	7	40
ინდექსი	1.1	1.3	1.5	1	1.1	1	1.5	1.7	1.4	1.7
აჭარა										
აბსოლუტური	50	1.3	1.5	0.2	3	0.1	0.3	0.5	6	50
